სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

77851410517824

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241226962

რეგისტრაციის თარიღი

13.09.2024 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

მე, **ნოტარიუსი ირმა შარვაძე** /სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში/**, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად **თამარაშვილის 13-ში**, სადაც მომმართა: **გიორგი კუპრაშვილმა, შპს „თამარაშვილი 13“-ის (ს.ნ: 405497458) დირექტორმა მან** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მისი** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი კუპრაშვილმა (დაბ.14.10.1987წ., პ/ნ: 01005013388, მისამართი: თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. N 106 ფ. 10)** მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მიმნდობმა წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ხელი მოაწერა შემდეგ მინდობილობას.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სახელმწიფო **30.00** ლარი, + **35,00 ლარი** სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის + დღგ **11,70** ლარი, რეგისტრაციის საფასური **5,00** ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. №507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ”) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, გიორგი კუპრაშვილი (პირადი ნომერი: 01005013388) მოქმედი, როგორც შპს თამარაშვილი 13-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405497458) (შემდგომში - კომპანია) დირექტორი

უფლებამოსილებას ვანიჭებ:

ნინო ოკრიბელაშვილს (პირადი ნომერი: 35001031772)

რათა მან ჩემი როგორც კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში და კომპანიის სახელით განახორციელოს შემდეგი ქმედებები, ამავე მინდობილობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით:

1. რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებაში, მათ შორის: ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის: საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, იუსტიციის სახლში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ფოსტაში, საქართველოს ფინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, პოლიციაში, უფლებამოსილია აღნშნული უწყებებიდან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი შინაარსის ცნობა, მოწმობა, ამონაწერი ან/და ინფორმაცია და აწარმოოს შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული საქმე. მარწმუნებლის სახელით დაწეროს ნებისმიერი განცხადება, მიმართვა ან/და განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით მოაწეროს ხელი მარწმუნებლის ნებისმიერ დოკუმენტს.

2. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის: საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, იუსტიციის სახლში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ფოსტაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, პოლიციაში. მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს წებისმიერ სახის განცხადებებს და სხვა დოკუმენტაციას. წარადგინოს და გამოითხოვოს ჩამოთვლილი ადმინისტრაციული ორგანოებისგან ყველა საჭირო დოკუმენტაცია, დაარეგისტრიროს ან შეცვალოს რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები კომპანიის თაობაზე, დაწეროს განცხადებები და განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რაც საჭიროა მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად.

3. რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის, როგორც კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი მოაწეროს, გააფორმოს, ნოტარიულად

დაამოწმოს, სარეგისტრაციოდ წარადგინოს/დაარეგისტრიროს ნებისმიერ ხელშეკრულება/შეთანხმება და მისი შეწყვეტა, გაგრძელება, ცვლილება, მათ შორის, მომსახურების, უძრავი ქონების ნასყიდობის, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის, ქონების ნასყიდობის, ქონების წინარე ნასყიდობის, იჯარის, ქვეიჯარის, ქირავნობის, ქვექირავნობის, აღნაგობის, სარგებლობის, საკრედიტო, სასესხო, გირავნობის, იპოთეკის, აკრძალვის, მოთხოვნის, უფლების, ვალდებულების დათმობის, გაცვლის ხელშეკრულება და მათი ნებისმიერ ცვლილება/დამატება ან შეწყვეტა, განსაზღვროს ამ ხელშეკრულების ნებისმიერ და ყველა პირობა და განახორციელოს მათი აღსრულებისთვი აუცილებელი ნებისმიერ ქმედება; რწმუნებული უფლებამოსილია, კომპანიის და მარწმუნებლის სახლეით მიიღოს გადაწყვეტილებები კომპანიის ქონების განკარგვასთან/კონფიკურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, განახორციელოს კომპანიის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ნებისმიერ სახის ცვლილება, მათ შორის, უძრავი ქონებების გამიჯვნა, გაერთიანება, ფართის ცვლილება, დაზუსტება რეგისტრაციის გაუქმება, ცვლილება ნებისმიერ ოქმში/გადაწყვეტილებაში. რწმუნებული უფლებამოსილია ამ ნაწილით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას, იმოქმედოს მარწმუნებლის სახელით, გადაწყვიტოს ნებისმიერ დოკუმენტის შინაარსი, ფორმა და პირობები, ხელი მოაწეროს ასეთ დოკუმენტებს, წარადგინოს ნებისმიერ გადაწყვეტილება, დოკუმენტი, პროექტი სარეგისტრაციოდ/რეგისტრაციის შეწყვეტის ან/და გაგრძელების მიზნით, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და განახორციელოს აუცილებელი ქმედებები.

4. წარმოადგინოს კომპანია და მარწმუნებელი ნებისმიერ იმ კომპანიის წინაშე რომელშიც კომპანიას გააჩნია წილობირვი მონაწილეობა, მიიღოს ნებიმსიერ გადაწყვეტილება შვილობილ კომპანიებში, ასეთი კომპანიების წესდების თანახმად, ხელი მოაწეროს კრების ოქმებს, განსაზღვროს მათი შინაარსი და წარადგინოს სარეგისტრაციოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ამ უფლებამოსილების ფარგლებში, რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით კომპანიის შვილობილი კომპანიაში მიიღოს გადაწყვეტილებები რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, შვილობილი კომპანიების დირექტორის გათავისუფლებას, დანიშვნას, შვილობილი კომპანიის წესდების ცვლილებას, შვილობილი კომპანიის მიერ უძრავი/მოძრავი ქონების გასხვისებას, ნებისმიერ სანივთო უფლებით დატვირთვას, შვილობილის მიერ მესამე პირის წინაშე სასესხო ვალდებულებების აღებას, ცვლილებას, შეწყვეტას, თავდებობის ხელშეკრულების გაფორმებას, სოლიდარული პასუხისმგებლობის აღებას, რომელიც საჭიროებს პარტნიორის გადაწყვეტილებას.

5. რწმუნებული უფლებამოსილია, კომპანიის და მარწმუნებლის სახელით, ბანკთან გააფორმოს საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება/შეთანხმება, არსებულ და მომავალში გახსნილ საბანკო ანგარიშებზე აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია/ტრანზაქცია, მათ შორის გაიტანოს, გადარიცხოს, დააკონვერტიროს საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები (ნებისმიერ ვალუტაში, ნებისმიერი ოდენობით). გახსნას/დახუროს ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშ(ებ)ი და საბანკო ანაბრები, დაამზადებინოს/მიიღოს/განაახლოს ან/და გააუქმოს საბანკო საგადახდო (პლასტიკური) ბარათ(ებ)ი, მათ შორის დაამზადებინოს დამატებითი პლასტიკური ბარათ(ებ)ი მესამე პირის სასარგებლოდ; მიიღოს ნებისმიერი სახის

ინფორმაცია/ცნობა/ამონაწერი, ჩართოს ან/და გააუქმოს დისტანციური საშუალებები, მათ შორის ინტერნეტ ბანკი, სმს ბანკი, ბანკი-კლიენტის მომსახურება. განახორციელოს ოპერაციები დისტანციური საშუალებებით. მარწმუნებლის სახელით ბანკს მიმართოს წერილობით/განაცხადით ნებისმიერ სახის საბანკო მომსახურების შესახებ; ეს უფლებამოსილებები მათ შორის მოიცავს შემდეგ უფლებებს:

- გახსნას, დახუროს, შეუზღუდავად მართოს და განკარგოს კომპანიის სახელზე არსებული და მომავალში გახსნილი ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიში (ანგარიშები) და დეპოზიტი, აგრეთვე - ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული სახსრები (იგულისხმება როგორც წინამდებარე მინდობილობის გაცემამდე, ასევე - გაცემის შემდგომ განთავსებული თანხები); მათ შორის, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია (თანხის შეტანა, გამოტანა, კონვერტაცია, გადარიცხვა და სხვა), გაიაქტიუროს /გააუქმოს ნებისმიერი საბანკო მომსახურება/ პროდუქტი, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტს/განაცხადს/ხელშეკრულებას. მიიღოს ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან ნებისმიერი ხანდაზმულობის, მიიღოს ნებისმიერი საბანკო ცნობა და ნებისმიერი სახის ინფორმაცია, წარადგინოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს და შეუზღუდავად შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

- დააფიქსიროს და/ან შეცვალოს ბანკში მარწმუნებლის და/ან საზოგადოების დირექტორის ნებისმიერი პერსონალური მონაცემი / საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მარწმუნებლის და/ან საზოგადოების დირექტორის მობილური ტელეფონის ნომერი და/ან ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- კომპანიის სახელით დაარეგისტრიროს ინტერნეტ ბანკი ადმინისტრატორის უფლებით და გაწეროს ინტერნეტ ბანკი მესამე პირების სახელზე, შეცვალოს და/ან დახუროს ინტერნეტ ბანკინგი, ხელი მოაწეროს აღნიშნულთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს და ხელშეკრულებას, მიიღოს ინტერნეტ-ბანკით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე ელექტრონული საბუთი, შეავსოს ნებისმიერი სახის კითხვარი, განაცხადი და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც საჭირო იქნება ინტერნეტ ბანკინგის გახსნის, პირობების შეცვლის, სარგებლობის და/ან მოახდინოს ინტერნეტ ბანკინგში საკონტაქტო ტელეფონის ნომრის, კოდური კითხვა პასუხის, ერთჯერადი პაროლის მიღების წყაროს რეგისტრაცია და/ან ცვლილება და ა.შ.
- ინტერნეტ ბანკით, მართოს და განკარგოს საზოგადოების კუთვნილი, არსებული და შემდგომში გახსნილი ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო-საფინანსო ოპერაციები. განახორციელოს გადარიცხვები, განაღდება და კონვერტაციები, მიიღოს შესაბამისი დიჯიპასი და პაროლები/გასაღები. განახორციელოს ინტერნეტ ბანკში მომხმარებლის (ნებისმიერი მესამე პირის) დარეგისტრირება/დამატება როგორც სრული (საბოლოო ავტორიზაციით),

ასევე შეზღუდული (მათ შორის მხოლოდ ხედვისა და დათვალიერების, ავტორიზაციის გარეშე ტრანზაქციის განხორციელების და ა.შ) უფლებით, ასევე განახორციელოს მომხმარებლის ან მისთვის მინიჭებული უფლებების შეცვლა/გაუქმება, მათ შორის, თავისი შეხედულებისამებრ ინტერნეტ ბანკის დამატებით მომხმარებელს მიანიჭოს ხელმოწერის დონე, დაუწესოს გადარიცხვის დღიური ლიმიტები ბანკში დადგენილი წესების შესაბამისად. მინდობილი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს ბანკს ინტერნეტ-ბანკში წვდომის შეჩერების/გაუქმების/აღდგენის მოთხოვნით.

6. რწმუნებულ(ებ)ი უფლებამოსილია, წარმოადგინოს კომპანია და მარწმუნებელი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებში, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოში“. მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს თანხმობას მონაცემთა დამუშავების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ბანკი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს წინამდებარე განაცხადში, კრედიტორთან დაცული, ასევე, მარწმუნებლის შესახებ საკრედიტო ბიუროებში დაცული და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მარწმუნებლის, როგორც მომავალი მსესხებლის / თანამსესხებლის / თავდების / უზრუნველყოფის მიმწოდებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით. ასევე, მარწმუნებლის სახელით მოაწეროს ხელი ნებისმიერ განაცხადსა და თანხმობას, მათ შორის, ბანკის მიერ დადგენილ ფორმას მომხმარებელთა ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

ზემოაღნიშნულ დავალებათა შესრულების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა სახის იურიდიული მოქმედება, მათ შესახებ წინამდებარე მინდობილობაში პირდაპირი მითითების გარეშეც, თუ ასეთი რამ აუცილებელი იქნება მარწმუნებლის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 13 სექტემბერს და მოქმედებს 1 წლის ვადით

გიორგი კუპრაშვილი

/ _____ / გიორგი კუპრაშვილი